საგადასახადო ა/ფაქტურაში მონაცემის შეცვლა 1121

ფაქტობრივი გარემოებები

- დღგ-ის გადამხდელმა პირმა მყიდველს გამოუწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც შეცდომით იქნა შეტანილი დღგ-ის თანხა.
- პირმა მყიდველისათვის საფ-ის გადაცემამდე ყველა ეგზემპლარში შეასწორა დღგ-ის თანხა და დაამოწმა ბეჭდით.
- დღგ-ის დეკლარაციაში ოპერაცია სწორად არის ასახული და დაბეგრილია სრულად.

შეფასება

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 53-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საფ-ში არასწორად (შეცდომით) შეტანილი რეკვიზიტების (დღგ-ის თანხის გარდა) გასწორების მიზნით, საფ-ის ეგზემპლარებში არასწორი მონაცემები გადაიხაზება და მათ თავზე მიეთითება დაზუსტებული მონაცემები. გადასწორების ფაქტი დასტურდება ხელმოწერით და ბეჭდით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში არასწორად შეტანილი მონაცემი შესაძლებელია გადასწორდეს და მასში შეტანილ იქნას სწორი მონაცემი.

ამასთან, აღნიშნული არ ეხება დღგ-ის თანხის შეცდომით შეტანას. ამ შემთხვევაში, საფ-ი ექვემდებარება გაუქმებას.

ღონისძიებები

- გამომწერს დაეკისრება სსკ-ის 291-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.
- საფ-ის მიხედვით მყიდველის მიერ მიღებული ჩათვლა არ გაუქმდება.